თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის22 ოქტომბრის სხდომის
ოქმი № 10

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 22 ოქტომბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 26 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

4. ფილიპე გოგიჩაიშვილის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლით დაჯილდოების წესი
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ შოთა ყარალაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე) რეცენზენტის ცვლილების საკითხი ასოცირებული პროფესორის შოთა ვეშაპიძის ნაცვლად, ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

6. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარმოდგენისა და შეფასების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 22 ოქტომბრის №10 სხდომის დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

4. ფილიპე გოგიჩაიშვილის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლით დაჯილდოების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ შოთა ყარალაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე) რეცენზენტის ცვლილების საკითხი ასოცირებული პროფესორის შოთა ვეშაპიძის ნაცვლად, ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

6. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარმოდგენისა და შეფასების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის შუამდგომლობა (N 17393/29 15/10/2020), რომლითაც ითხოვს მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი წარჩინებით:

1. ცეცხლაძე ელენე 61001082009

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019 - 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი წარჩინებით:

1. ცეცხლაძე ელენე 61001082009

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში:

1. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („სადაზღვევო საქმე“, „საბანკო საქმე-1“, „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, „საჯარო ფინანსები“) შეფასებაში დასწრების 5 ქულა გადავიდა აქტივობების ნაწილში.
- მარკეტინგის კათედრა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ინტერნეტ-მარკეტინგი“, „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“, „მარკეტინგი 1“, „მარკეტინგი 2“, „ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი“, „საერთაშორისო მარკეტინგი“), დასწრების ქულა გადანაწილდა სხვა კომპონენტებზე.

2. სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა:

  ა) „ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“ - ე. ჯგერენაიას ნაცვლად სილაბუსის ავტორია თამარ გამსახურდია. ასევე, განახლდა თემები, ლიტერატურა, შეფასება და სწავლის შედეგები.

  ბ) სილაბუსში „საგადასახადო დაგეგმვა“ ავტორად დაემატა ასოც. პროფ. მ. ჩიკვილაძე; ასევე, მოწვეული პროფესორი თ. კბილაძე ჩასწორდა ასისტენტ პროფესორად.

  გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „სადაზღვევო სისტემა და რეგულირება“, „საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი,“ „ვენჩურული კაპიტალი და ინოვაციების დაფინანსება’’, „კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში“, „ფინანსური რისკების მართვა“) შეფასებაში დასწრების 5 ქულა გადავიდა აქტივობების ნაწილში.
- მარკეტინგის კათედრა:

  ა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ბიზნეს მარკეტინგი“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“,„საზოგადოებასთან ურთიერთობები“, „მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში“, „მარკეტინგული კვლევები“, „მომხმარებელთა ქცევა“), დასწრების ქულა გადანაწილდა სხვა კომპონენტებზე.

3. სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მარკეტინგის კათედრა: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში „კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში“ დასწრების ქულა გადანაწილდა სხვა კომპონენტებზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები:

1. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 78):

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებები:

- ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („სადაზღვევო საქმე“, „საბანკო საქმე-1“, „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, „საჯარო ფინანსები“) შეფასებაში დასწრების 5 ქულა გადავიდეს აქტივობების ნაწილში.
- მარკეტინგის კათედრა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ინტერნეტ-მარკეტინგი“, „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“, „მარკეტინგი 1“, „მარკეტინგი 2“, „ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი“, „საერთაშორისო მარკეტინგი“), დასწრების ქულა გადანაწილდეს სხვა კომპონენტებზე.

2. სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება2011 №57, დანართი 81):

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა:

  ა) „ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“ - ე. ჯგერენაიას ნაცვლად სილაბუსის ავტორად დამტკიცდეს თამარ გამსახურდია. ასევე, დამკიცდეს სილაბუსში წარმოდგენილი ცვლილებები.

  ბ) სილაბუსში „საგადასახადო დაგეგმვა“ ავტორად დაემატოს ასოც. პროფ. მ. ჩიკვილაძე; ასევე, მოწვეული პროფესორი თ. კბილაძე ჩასწორდეს ასისტენტ პროფესორად.

  გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „სადაზღვევო სისტემა და რეგულირება“, „საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი,“ „ვენჩურული კაპიტალი და ინოვაციების დაფინანსება”, „კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში“, „ფინანსური რისკების მართვა“) შეფასებაში დასწრების 5 ქულა გადავიდეს აქტივობების ნაწილში.
- მარკეტინგის კათედრა:

  ა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში („ბიზნეს მარკეტინგი“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „საზოგადოებასთან ურთიერთობები“, „მარკეტინგი

მოგზაურობასა და ტურიზმში“, „მარკეტინგული კვლევები“, „მომხმარებელთა ქცევა“), დასწრების ქულა გადანაწილდეს სხვა კომპონენტებზე.

3. სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 85):

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- მარკეტინგის კათედრა: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში „კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში“ დასწრების ქულა გადანაწილდეს სხვა კომპონენტებზე.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში:

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

1. გადამუშავდა პროგრამის მოდულის „მენეჯერული ეკონომიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსის „ფირმის ეკონომიკა“ სილაბუსი (ავტ. ე. ხარაიშვილი, ნ. ლობჟანიძე). აღნიშნული სასწავლო კურსი დაემატა პროგრამის თავისუფალი კრედიტების სახით წარმოდგენილ სასწავლო კურსების ჩამონათვალს შემოდგომის სემესტრში.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

1. პროგრამის მოდულს „ბიზნესის ეკონომიკა“ მეორე სემესტრში დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი „ციფრული მეწარმეობა და ანტრეპრენერი“ (ავტ. ე. ხარაიშვილი)
2. შეიცვალა პროგრამაზე მისაღების გამოცდის „ეკონომიკის პრინციპები“ ფორმატი. გამოცდა ტარდება ტესტირებით. ტესტების თითოეული ვარიანტი შედგება 50 შეკითხვისგან, მათგან - 25 მიკროეკონომიკის და 25 - მაკროეკონომიკის პრინციპებიდან არის აღებული. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთი არის სწორი და ფასდება 2 ქულით. გამოცდის ჩასაბარებელი სავალდებულო მინიმუმი შეადგენს 50 ქულას.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები:

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

1. დამტკიცდეს პროგრამის მოდულის „მენეჯერული ეკონომიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი „ფირმის ეკონომიკის“ სილაბუსი (ავტ. ე. ხარაიშვილი, ნ. ლობჟანიძე). აღნიშნული სასწავლო კურსი დაემატოს პროგრამის თავისუფალი კრედიტების სახით წარმოდგენილ სასწავლო კურსების ჩამონათვალს შემოდგომის სემესტრში.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

1. პროგრამის მოდულს „ბიზნესის ეკონომიკა“ მეორე სემესტრში დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „ციფრული მეწარმეობა და ანტრეპრენერი“ (ავტ. ე. ხარაიშვილი)
2. შეიცვალოს პროგრამაზე მისაღების გამოცდის „ეკონომიკის პრინციპები“ ფორმატი. გამოცდა ჩატარდეს ტესტირებით. ტესტების თითოეული ვარიანტი შედგება 50 შეკითხვისგან, მათგან - 25 მიკროეკონომიკის და 25 - მაკროეკონომიკის პრინციპებიდან არის აღებული. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთი არის სწორი და ფასდება 2 ქულით. გამოცდის ჩასაბარებელი სავალდებულო მინიმუმი შეადგენს 50 ქულას.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილიმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№14216/10, 11.09.2020), თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა 2005 წლის კურსდამთვრებულის განცხადების (№14243/10-02, 09.09.2020) საფუძველზე მოითხოვა მინიჭებული აკადემიური ხარისხის „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ლევან ილაშვილი 1999 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის

არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/733, 31.08.1999).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის არასაბიუჯეტო სექტორის დასწრებული სწავლების 200...-200... (წელი არ არის დაფიქსირებული) კურსდამთავრებულ ლევან ილაშვილს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) მიენიჭა ***ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით,*** ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით მიენიჭა ***ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით*** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№003265 (სარეგისტრაციო №01/4587) რეგისტრირებულია ლევან ილაშვილის სახელზე, სადაც ფიქსირდება, რომ **„ლევან ილაშვილი 1999 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლევან ილაშვილს მიენიჭა ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაცია".**

თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით ლევან ილაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, აგრეთვე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით მინიჭებულ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელ ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის

სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან და როგორც ლევან ინალიშვილის, ისე დღის განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის ყველა კურსდამთვრებულს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოთ **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით.“**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,
გაიმართა კენჭისყრა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის არასაბიუჯეო სექტორის დასწრებული სწავლების 2005 წლის კურსდამთავრებულ ლევან ილაშვილს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.
2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის (ოქმი უნომროა) შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (14 კურსდამთავრებული) და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№1652/10, 06.10.2020), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულის პაატა ღლონტის დიპლომის დანართი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ ღლონტი პაატა თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ იქნა გადმოყვანის წესით საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგის სპეციალობის მეორე კურსზე დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე (ბრძანება №04-02/04-115. 21.10.2003).

2006 წელს პაატა ღლონტს მიენიჭა ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით. (ბრძ. №01-38/55 12.10.2006 საფუძველი: დისტანციურ-საკონსულტაციო სწავლების სექტორის ხელმძღვანელის წარდგინება და საკვალიფიკაციო-საატესტაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმი №13 16.09.2006) მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, ყოფილი თეუსუ-ს 2006 წლის კურსდამთავრებულ პაატა ღლონტის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირებასთან დაკავშირებით, კერძოდ შეიცვალოს ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის 2006 წლის 12 ოქტომბრის №01-38/55 ბრძანებაში ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ პაატა ღლონტის ნაწილში და ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად პაატა ღლონტისათვის მინიჭებულ იქნეს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ზემოაღნიშნული პირობა უნდა გავრცელდეს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ამავე ბრძანების (ბრძ. №01-38/55 12.10.2006) §13-ში ჩამოთვლილ კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. შეიცვალოს ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის 2006 წლის 12 ოქტომბრის №01-38/55 ბრძანებაში ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ პაატა ღლონტის ნაწილში და ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად პაატა ღლონტისათვის მინიჭებულ იქნეს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ამავე ბრძანების (ბრძ. №01-38/55 12.10.2006) §13-ში ჩამოთვლილ კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილიმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან შემოვიდა წერილი (№17392/29, 15.10.20), რომლის საფუძველზე ითხოვენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის ლიკა ფუხაშვილისთვის მინიჭებული ხარისხის საფუძველზე მიღებული დიპლომი ჩვეულებრივი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №8, 14.08.2020) შეიცვალოს დიპლომი წარჩინებულით. მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულმა ლიკა ფუხაშვილმა 2020 წლის 3 სექტემბერს განცხადებით (№14277/10-02, 04.09.2020) მიმართა თსუ ადმისტრაციის ხელმძღვანელს, რომლითაც ითხოვდა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გავლილ სასწავლო კურსში „ორგანიზაციული ქცევა“ ქულის ჩასწორებას. კერძოდ, შუალედურის გამოცდის კვირაში (IX) დასწრების ქულის დაწერას.

საგნის პედაგოგის ქალბატონ მაია ნიკვაშვილის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების საფუძველზე ლიკა ფუხაშვილს სასწავლო კურსში „ორგანიზაციული ქცევა“ დაემატა დასწრების ქულა. მეცხრე კვირაში დასწრების ქულის დამატებამ შეცვალა სასწავლო კურსში შეფასება (იყო 90 ქულა, ამჟამად არის 91 ქულა) და GPA (იყო 3,42, ამჟამად არის 3,46).

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა თხოვნით მიმართა საჭოს, რათა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულ ლიკა ფუხაშვილს ნაცვლად დიპლომი ჩვეულებრივისა მიეცეს დიპლომი წარჩინებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულ ლიკა ფუხაშვილს ნაცვლად დიპლომი ჩვეულებრივისა მიეცეს დიპლომი წარჩინებით.

მოისმინეს: ფილიპე გოგიჩაიშვილის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლით დაჯილდოების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობები და დაჯილდოების წესის პროექტი, კერძოდ:

ეს წესი განსაზღვრავს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, მის აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებს.

ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლი (შემდგომში – ,,მედალი‘‘) წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო ჯილდოს.

ა) მედალი შეიძლება გადაეცეს პროფესიონალ ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის და/ან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარებაში აღიარებული დამსახურებისათვის.

ბ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის - არანაკლებ 35-40 და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მუშაობის არანაკლებ 25 წლის გამოცდილება.

გ) მედლის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოსან ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე. წარდგინებას უნდა ერთვოდეს შევსებული დაჯილდოების ფურცელი (დანართი №1).

დ) სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს ორი მედლისა, ორი ქართველ ეკონომისტზე.

წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება რექტორის ბრძანებით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დაჯილდოებულ პირს მედალს და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ გადასცემს რექტორი ან მისივე გადაწყვეტილების (რეზოლუციის) საფუძველზე, დეკანი ან სხვა ოფიციალური პირი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობების და დაჯილდოების წესის წარმოდგენილი პროექტი და მიეცეს შემდგომი მსვლელობა

მოისმინეს: ფილიპე გოგიჩაიშვილის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლით დაჯილდოების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლის მინიჭების პირობები და დაჯილდოების წესის პროექტი:

1. ეს წესი განსაზღვრავს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, მის აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლის მინიჭების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებს.
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლი (შემდგომში – ,,მედალი‘‘) წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო ჯილდოს.

ა) მედალი შეიძლება გადაეცეს პროფესიონალ ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის და/ან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარებაში აღიარებული დამსახურებისათვის.

ბ) მედალი შეიძლება გადაეცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

გ) მედლის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოსან ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე. წარდგინებას უნდა ერთვოდეს შევსებული დაჯილდოების ფურცელი (დანართი№1).
დ) სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებელია არაუმეტეს ორი მედლისა. არაუმეტეს ორ უცხოელ ეკონომისტზე.

3. წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება რექტორის ბრძანებით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. დაჯილდოებულ პირს მედალს და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ გადასცემს რექტორი ან მისივე გადაწყვეტილების (რეზოლუციის) საფუძველზე, დეკანი ან სხვა ოფიციალური პირი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მედლის მინიჭების პირობები და დაჯილდოების წესის წარმოდგენილი პროექტი და მიეცეს შესაბამისი მსვლელობა.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ შოთა ყარალაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე) რეცენზენტის ცვლილების საკითხი ასოცირებული პროფესორის შოთა ვეშაპიძის ნაცვლად, ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ შოთა ყარალაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი:

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე) რეცენზენტად ასოცირებული პროფესორის შოთა ვეშაპიძის ნაცვლად, დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

მოისმინეს: სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარმოდგენისა და შეფასების წესი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარმოდგენისა და შეფასების წესი:

- სამეცნიერო - კვლევითი პროექტი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
- სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ზღვრული მოცულობა 30–35 გვერდი.
  ფურცლის ზომა – A/4; შრიფტი 12, შრიფტის სახეობა **Sylfaen**, სტრიქონებს შორის მანძილი –1,5, გვერდის საზღვრები: მარცხენა 2,5 სმ; მარჯვნა 2 სმ; ზედა 1,5 სმ; ქვედა 1,5 სმ.

შეფასების კრიტერიუმები:

1. ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა

პრობლემის აქტუალობის დასაბუთება; საკვლევ პრობლემაზე დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; ძირითად საკვლევ მასალაზე კონცენტრირების უნარი. ჩანს თუ არა ნაშრომში ლოგიკური ანალიზი და თანმიმდევრობა.

2. ანალიზისა და კვლევის სიღრმე

თემის ირგვლივ არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურის გამოყენების დონე (კლასიკოსთა ნაშრომების, კვლევების, რეფერატული ხასიათის ნაშრომების, ინტერნეტ-რესურსების და სხვათა გამოყენება); პრობლემის დამუშავების დონე და სიღრმისეული ანალიზი. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევისა და ანალიზის უნარი.

3.შედეგი

მიღებული სტატისტიკური და მეცნიერული მონაცემების შედეგები; კვლევის საფუძველზე შემოთავაზებული ლოგიკური დასკვნები.

კოლოქვიუმის დაცვის პროცედურა:

- დოქტორანტი წინამდებარე პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობით.
- შესაბამისი კათედრის გამგე დოქტორანტის მეცნიერ–ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადგენს სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაცვის კომისიას, არანაკლებ 5 წევრის

შემადგენლობით.

- კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უბრალო უმრავლესობა.
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს (2სამეცნიერო-კვლევითი პროექტი).

უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს შენიშვნების შესასწორებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარმოდგენისა და შეფასების წესი.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი გ. ფაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ. მაისურაძე